

შეტანილია ცვლილებები
საქართველოს პრეზიდენტის
07/14/2010 N 500
ბრძანებულებით

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 927 2005 წლის 8 ნოემბერი ქ.თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სასწავლო ცენტრის დაფუძნების შესახებ**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (კ. კემულარია):
 - ა) განახორციელოს ცენტრის სახელმწიფო კონტროლი;
 - ბ) უზრუნველყოს ცენტრის წესდების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი.ჩოგოვაძე) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისათვის სათანადო ქონების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიხეილ სააკაშვილი

**საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N 927 2005 წლის 8 ნოემბერი ქ.თბილისი**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სასწავლო ცენტრის დაფუძნების შესახებ**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

2. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ: *(14.07.2010 N 500)*

ა) განახორციელოს ცენტრის სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს ცენტრის წესდების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.”;

2¹. ცენტრი არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის უფლებამონაცვლე. *(14.07.2010 N 500)*

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი.ჩოგოვაძე) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისათვის სათანადო ქონების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიხეილ სააკაშვილი